სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 32

2020 წლის 3 ივლისი

ქ. თბილისი

„გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2020 წლის 2 ივლისის N31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2020 წლის 2 ივლისის N31 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „ა) გრანტის მიმღებმა (მკვლევართა ჯგუფის წევრმა - პროექტის ხელმძღვანელმა) პროექტისათვის გახსნილი საბანკო ანგარიში, რომელზეც განხორციელდება მხოლოდ პროექტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციები და ცნობა გაცემული ბანკის მიერ იმის შესახებ, რომ წარმოდგენილ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი.“
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია